

11. აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ

“გარდამავალ პერიოდში სსრკ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შესახებ~ სსრკ კანონის მიღებით სსრ კავშირის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში მოხდა სტრუქტურული ცვლილებები, გადანაწილდა უფლებემოსილებები _ ამ კანონით საკავშირო ორგანოებს სახალხო მეურნეობის კოორდინაციის განხორციელების ფუნქცია ეკისრებათ.

ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფისა და საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ფინანსირებასთან და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობა.

1991 წლის 1 ივლისის მდგომარეობით აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებულია საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების 243 საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია.

(...)

აფხაზეთის მრავალეროვანი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, რესპუბლიკის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველსაყოფად, ხელმძღვანელობს რა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) მეორე მუხლისა და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაციით, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ (ამხ. ვ. ტ. მიქანბა):

_ 1992 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გადაცემა-მიღება აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების გამგებლობაში...

_ ამ დადგენილების რეალიზაციის პერიოდში განახორციელოს ურთიერთქმედება რესპუბლიკებთან, საკავშირო და რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან აფხაზეთის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების გამგებლობაში გადაცემული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

_ 1991 წლის 5 ოქტომბრისათვის წარმოადგინოს სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის წინადადება.

_ შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

– ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება “აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების იურისდიქციაში გადასვლის შესახებ.”

– აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სამინისტრომ 1992 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს აფხაზეთის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების გამგებლობაში გადაცემული ყველა სამეურნეო სუბიექტის გატარება რეგისტრაციაში.

3. აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმომ (ამხ. რ. ბ. აშხვაცავა), აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სამინისტრომ (ამხ. რ. ბ. სიჭინავა) აუცილებელი მატერიალური და ფინანსური დახმარება აღმოუჩინონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც გადავიდა და გადადის აფხაზეთის სახელმწიფო მმართველობის გამგებლობაში...

(...)

აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა.

1991 წლის 27 სექტემბერი.

(გაზეთი «Республика Абхазия», №15, 1991 წლის 12 ოქტომბერი. საკუთარი თარგმანი)